



MES 5 20 0001056646



02/11/2020

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 19 ოქტომბერს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/81171641046>

Meeting ID: 811 7164 1046

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

გიორგი ტრაპაძე - სს „ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

ნატო ქიტიაშვილი - სს „საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;

ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ნოდარ მამინაიშვილი - აა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ „მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდლაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემია:

სოფიო მაჭარაშვილი - დირექტორი;

ალინა კუპრავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“:

როინ (მათე) ტაკიძე - დირექტორი

თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი:

თამარ გელიაშვილი - დირექტორი,

ლელა თვარაძე - იურისტი

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“:

მამუკა ჯანჯალია - დირექტორი

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“:

ირმა ჯაფარიძე - დირექტორი

თეონა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ბოტკოველი,

მანანა მოისწრაფიშვილი,

ალინა კუპრავა,

ნაზო წიბლიაშვილი,

ნათია ქაჯაია,

მარინა გვრიტიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩანაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „სპექტრის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ მონიტორინგის გადავადებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ მონიტორინგის გადავადებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგზე იმყოფებოდა მანანა მოისწრაფიშვილთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 08 სექტემბრის N797535 ბრძანების საფუძველზე. მათ დაევალოთ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "შრომის უსაფრთხოებისა და

გარემოს დაცვის ტექნოლოგიები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებთან, ასევე, ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის ე.ბ) კომპონენტთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება. მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი გახლდათ - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №17 სხდომაზე განხილული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხი, სადაც საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის განხორციელების შესახებ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები ნამდვილად სრულდება და პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში ნამდვილად ხელმისაწვდომია ის აღჭურვილობა, რაც პრაქტიკის ობიექტებზეა განთავსებული, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის გადაწყვეტილებით, დაევალა ასევე 5.2 კომპონენტის შემოწმება. ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 სექტემბერს.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საუბარი შეეხო მათ მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატიას პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით. საქმე მდგომარეობდა შემდეგში: 2020 წლის 17 ივლისს დაწესებულების სოციალური ქსელის სივრცეში (ფეისბუქ გვერდზე) გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია აკადემიის მიერ ინტეგრირებული პროგრამების (საოფისე საქმე და ვებტექნოლოგიები) განხორციელების შესახებ, თუმცა დაწესებულებას იმ დროისათვის არ ჰქონდა ავტორიზაციით მოპოვებული ამ პროგრამების განხორციელების უფლება და ამავე სარეკლამო ტექსტში მითითებული იყო პროფესიულ სტუდენტთათვის სამხედრო ვალდებულებებისაგან განთავისუფლების შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულებამ ამ სარეკლამო ტექსტის განთავსებიდან რამდენიმე საათში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიიღო ოფიციალური წერილი ზემოთ აღნიშნულ სარეკლამო ტექსტთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც, მითითებული ინფორმაციების გამოქვეყნება ჩაითვალა სტანდარტის დაარღვევად, ვინაიდან იყო საზოგადოების შეცდომაში შემყვანი. აკადემიამ ცენტრიდან წერილის მიღებისთანავე მოახდინა შესაბამისი რეაგირება, წაშალა გამოქვეყნებული ინფორმაცია და აცნობა ცენტრს ამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მონიტორინგის ვიზიტის დროს გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ადმინისტრაციას აღნიშნული საკითხის შესახებ, რათა მიეღო განმარტება, თუ რატომ განხორციელდა აღნიშნული ქმედება. დაწესებულების ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა შემდეგი: დაწესებულების მიერ აღნიშნული სარეკლამო ტექსტის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მრავლად ქვეყნდებოდა პროფესიული სტუდენტებისათვის სამხედრო ვალდებულების გადავადების შესახებ ინფორმაციები და კოლეგების მხრიდან მისალოცი ტექსტები, რამაც გამოიწვია აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერის შეცდომაში შეყვანა, რომელმაც სარეკლამო ტექსტში გაავრცელა აღნიშნული დაუზუსტებელი ინფორმაცია, რექტორთან შეთანხმების გარეშე, ვინაიდან რექტორი იმ დღეს იმყოფებოდა მივლინებით ქ. ბორჯომში კარიტასის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე. რაც შეეხება ინტეგრირებული პროგრამების შესახებ ინფორმაციას, მისი გავრცელების მიზანი იყო საზოგადოებისთვის ღირებული და უპრეცედენტო მოვლენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუმცა ტექსტის მეორე ნაწილში დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის განთავსებისას, განხორციელდა

სარეგისტრაციო ლინკის მიზმა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლინკზე არ იყო პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებული და შეაბამისად, მსურველი რეგისტრაციას ვერ განახორციელებდა.

აღსანიშნავია ასევე, რომ მსგავსი ინფორმაცია აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე არ განთავსებულა, რომელიც ასევე მკაცრად კონტროლდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. აკადემიის რექტორი და თანამშრომლები აცნობიერებენ აღნიშნული საკითხისადმი მეტი ყურადღების და პასუხისმგებლობის გამოჩენის საჭიროებას. მათი განმარტებით, ამ ფაქტის შემდეგ განხორციელდა არაერთი შეკრება და თითოეული თანამშრომლის ინფორმირება მსგავსი საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერს, მან მიიღო გაფრთხილება.

ვიზიტის დროს აკადემიის ვებგვერდის და სოციალური ქსელის გვერდის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაცია აქვს განთავსებული.

რაც შეეხება 5.2 სტანდარტის სხვა კომპონენტებს, დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის ბრძანება N2/99 (19.07.2019) - „საგანმანათლებლო საქმიანობაში და დაწესებულების მართვაში საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით კომპიუტერების განაწილების შესახებ“, რითაც დგინდება, რომ ადმინისტრაციისთვის გამოყენებულია 14, ხოლო სასწავლო პროცესის წარმართვისათვის 86 კომპიუტერი, რომლებშიც საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალური პროგრამებია ჩატვირთული. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიას აქვს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და აღჭურვილია საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატური. ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი. რაც დადასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით (2019 წლის 17 ივლისი N7/529).

აკადემიამ წარმოადგინა დოკუმენტი „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“. რეგულაციით განსაზღვრულია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები; საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასება და IT რისკების მართვა; კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის ინსტრუქცია; ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი. აკადემიის IT მენეჯერთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აკადემია სისტემატურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. მისივე განმარტებით, კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით. იდენტიფიცირებულია დაწესებულებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსების ადგილები და უზრუნველყოფილია ამ ინფორმაციის დაცულობა.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას, დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. დამუშავების არსებული პრაქტიკა შესაბამისობაშია

კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ექსპერტები გაეცნენ აკადემიის პერსონალის პირად საქმეებს, რომლებშიც განთავსებულია ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის თანხმობას ან უარს პირადი მონაცემების დამუშავებისა და გასაჯაროების შესახებ.

კოლეჯში შემუშავებულია აკადემიის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები და განსაზღვრულია რესურსების უწყვეტი შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, სხვადასხვა საშუალებებთან ერთად, გამოიყენება კითხვარები. დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ შევსებულ კითხვარებს, რომლებიც ემსახურებოდა მასწავლებლების, სტუდენტების და ადმინისტრაციის გამოკითხვას სხვადასხვა მიმართულებით. კითხვარებით შეფასდა როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების, ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობა. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, კითხვარების დამუშავების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება მისი გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. კითხვარების დამუშავებისა და ანალიზის შემდგომ დადგინდა, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 85% გამოხატავს კმაყოფილებას კოლეჯში არსებული პროცესების მიმართ.

აკადემიაში კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ხორციელდება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. ამისთვის დაწესებულებაში პერსონალისთვის მოქმედებს ელ-ფოსტის მისამართები, შექმნილია სოციალურ ქსელში ერთიანი დახურული ჯგუფები პროფესიული სტუდენტებისთვის (პროგრამების მიხედვით) და პერსონალისათვის ინფორმაციის გაზიარების მიზნით. აკადემია ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურებას, ასევე კონსულტაციას ელექტრონული ფოსტის/კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემების გამოყენების საკითხებში. აკადემია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ასევე ახორციელებს ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა Zoom-ის პლატფორმით.

აკადემიის რექტორის 2020 წლის 23 ივლისის N 2/56 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების განხორციელების პროცესს, აღნიშნული წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხორციელდება ამ წესების დაცვით, აკადემიას აქვს ელექტრონული საქმისწარმოება. აკადემია იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას, ასევე დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა Google-ის, Zoom-ის, Teams-ის პლატფორმა.

ექსპერტების მიერ განხორციელდა აკადემიის ვებგვერდის და სოციალური ქსელის გვერდის დათვალირება. დადგინდა, რომ ორივე გვერდი ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას, კერძოდ: საკომუნიკაციო პლატფორმას და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს დაინტერესულ პირთათვის ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდებას. ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ და სხვა. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; აკადემიის მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. შესაბამისად, აკადემიას აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც. აკადემიის ინგლისურენოვან ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე

განთავსებული აქვს ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისათვის, რაც მისი საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატის გათვლისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებისათვის გასაზიარებლად მიაჩნია საჭიროდ.

აკადემიის კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის და ასევე დაწესებულების მიღწევების, პარტნიორების, განხორციელებული პროექტების შესახებ. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად; აკადემიის კატალოგი განახლებულია 2020 წელს, პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ვებგვერდზე განთავსებულია წინა წლების კატალოგების არქივი (2014 -2020 წწ).

აკადემიის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენება არსებული საკომუნიკაციო არხები. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი დამტკიცებული 2020 წლის 23 ივლისის რექტორის ბრძანებით N 2/56.

მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი იყო, „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ პროფესიული პროგრამის შესაბამისობის შემოწმება. წინა ვიზიტზე გაცემული იყო რეკომენდაცია - C გარემოს აღჭურვილობის ნაწილი განლაგებულია პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე. რეკომენდირებულია C გარემოს აღჭურვილობის სასწავლებლის ბაზაზე მოთავსება. ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია აკადემიის მიერ. C გარემო სრულადაა აღჭურვილი. რამდენადაც აკადემიამ თვითონ შეიძინა C გარემოს სრული აღჭურვილობა, მათ აღარ სჭირდებათ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების გაყვანა. განხორციელდება მხოლოდ სასწავლო ექსკურსიები, რომლებიც პრაქტიკის ობიექტებზე უნდა განხორციელდეს. აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან. პროგრამის განსახორციელებლად ამ ეტაპზე, კოლეჯში გამოიყენება A/C სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისად. მასში გათვალისწინებულია 25 პროფესიული სტუდენტის ერთდროული სწავლება და ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში, საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას აძლევს მათ, ერთ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ორი ჯგუფი. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება სასწავლო გარემო B, რომელიც აღჭურვილია 30 პროფესიული სტუდენტისა და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და B სასწავლო გარემოს დატვირთვის გადამოწმებით დადგინდა, რომ მისი დატვირთვა არ აღემატება დღეისათვის 50-60%-ს, გამომდინარე იქიდან, რომ წლიური 60 კრედიტიანი დატვირთვიდან თითოეულ პროგრამაში ინფორმაციული წიგნიერების მოდული საშუალოდ 3 კრედიტიანია. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს პროგრამის განხორციელებაში დამატებითი ჩართოს A გარემო, რომელიც ასევე 22 პროფესიული სტუდენტისა და 1 მასწავლებლისთვის აღჭურვილია მოთხოვნათა სრული დაცვით. მან წარმოადგინა ფოტო მასალა ცე გარემო, სადაც წარმოდგენილია ყველა საჭირო რესურსი, პროგრამის განხორციელებისათვის. შესაბამისად დასტურდება რომ დაწესებულების მატერიალური რესურსები საკმარისია პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისთვის. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, სასწავლო გეგმებში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს,

პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მოიცავს საკონტაქტო საათებს, მეცადინეობისათვის მომზადებას და საორგანიზაციო ტიპის დატვირთვას, შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობას, სტუდენტთა ნაშრომების შეფასებას და სხვ., რაც მათთან დადებულ ხელშეკრულებაში და შინაგანაწესშია ასახული. დაწესებულებას შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს სულ 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან 11 დარგის წარმომადგენელი პროფესიული მოდულების განსახორციელებლად. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილება, ასევე გავლილი აქვთ შიდა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, რაც დასტურდება მათი პირადი საქმის შესწავლით.

ვიზიტის ფარგლებში აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ იგი პერიოდულად ატარებს კონსულტაციებს და სამუშაო შეხვედრებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებში. დაწესებულებაში ინახება ჩატარებული ტრენინგებისა და კონსულტაციების შესახებ ანგარიშები და დასწრების ფურცლები.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა მისი პროფესიონალიზმი, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და მზაობა პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და განვითარებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, იგი კონსულტაციებს უწევს პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს, ზრუნავს პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე, მონაწილეობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ ისინი ინახება დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ასევე, საბიბლიოთეკო ჟურნალის გადამოწმებით დადასტურდა რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ, საკუთარი დაფინანსებით დაბეჭდილია 2 სასწავლო სახელმძღვანელო კონკრეტულად შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ფართში, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო დარბაზი და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტების სარგებლობისთვის. ბიბლიოთეკას ემსახურება კომპეტენტური ბიბლიოთეკარი, რომელსაც კომპეტენცია უდასტურდება როგორც კვალიფიკაციით, ისე პრაქტიკული გამოცდილებით. ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ბიბლიოთეკის ფოტოებიც.

კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ გარემო ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებისთვის, მოწყობილია პანდუსები და სველი წერტილები. ამ ეტაპზე

აკადემიას არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა არსებობის შემთხვევაში, მათ წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. აკადემიას განსაზღვრული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების მთავარი წყაროა როგორც სწავლის საფასური, ასევე ვაუჩერული დაფინანსებაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წელს პროფესიულ სტუდენტთა მიღება ვაუჩერული დაფინანსებით არის გამოცხადებული. ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით განსაზღვრულია რენტაბელობა, რომელშიც მითითებულ რაოდენობას აღემატება პროგრამაზე განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, აკადემიაში საჭიროების მიხედვით სასწავლო ცხრილი იგეგმება პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმებით, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება თვითონ აირჩიონ სწავლების გრაფიკი. კორონავირუსის COVID 19-ის გამო ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კონკრეტული ჯგუფისთვის შეიცვალა სასწავლო გეგმა და დაჩქარებულ რეჟიმში წარიმართა სასწავლო პროცესი. დაწესებულებამ ასევე განახორციელა იმ სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელება შესაძლებელია სწავლების დისტანციური მეთოდით და განახორციელა პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორგანიზება. აღნიშნული ინფორმაციები გაგზავნილია ცენტრში, რაც დასტურდება გასული კორესპონდენციებით.

ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ლექციების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვ. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი N14-ით რეგულირდება ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, როდესაც რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს საწავლისა და შეფასებისას; პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს; პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით; ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში. დაწესებულებაში ამ პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე სსსმ სტუდენტისთვის ინდივიდუალური გეგმა არ ხორციელდება, თუმცა პანდემიის გამო დაწესებულებამ

კონკრეტული ჯგუფისთვის დაჩქარებული რეჟიმით შეიმუშავა და დაამტკიცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარადგინა ცენტრში.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების განხორციელებას კოლეჯის ბაზაზე სჭირდება სპეციალური უსაფრთხოების ნორმების დაცვა. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე. დაწესებულებას 2020 წლის 23 ივლისის რექტორის 2/56 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში შემავალი მოდულების სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ უსაფრთხოების ნორმებს, პასუხისმგებელ პირებს და ინსტრუქტაჟის დეტალებს, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტმა წარმოადგინა ფოტოები, რითაც დასტურდება, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო.

დაწესებულების “პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესით” რეგულირდება შეფასების ინსტრუმენტის მომზადებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება. დოკუმენტი მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევას, შემუშავების და განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას/მართვას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვებას, აღრიცხვასა და შენახვის წესს. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობასა და სამართლიანობას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესით“ რეგულირდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია. წესის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მასზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროცესში შესაძლებელია ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტებიც. პროცესი უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. წინასწარ ფასდება, თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს მიმდინარე წელს და არსებული რესურსების გათვალისწინებით, რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა ვერიფიკაციის განხორციელების დოკუმენტი და ანალიზი, რომელიც განხორციელებულია დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურის დაცვით. კერძოდ: დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა წარმოადგინა ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, შეფასების პროცესის განხორციელების ვერიფიკაციის რისკვაქტორების სქემა, ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის პროცესში გამოსაყენებელი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე რექტორის ბრძანებით დამტკიცდა აღნიშნული დოკუმენტაცია და შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფი. ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის

მიზნით, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა გარეშე პირი, რომელთანაც დაწესებულებამ გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებად განისაზღვრნენ პროგრამის ხელმძღვანელები და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია და დასკვნა რეკომენდაციებით წარედგინა რექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. აკადემია „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სასწავლო მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, მათ უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები და კონსულტაციები. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა. შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადებულად განიხილება, ხოლო კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა და რეკომენდაციებიც არ გაცემულა.

დარგის ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა ზემოთქმულს დაამატა, რომ გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა შრომისა და გარემოს უსაფრთხოებას, ორივე ასპექტს მოიცავს, 7 მოდული იყო გატანილი პრაქტიკის ობიექტზე. დათვალიერების შედეგად, C გარემოში განთავსებული აღჭურვილობა სრულად მოიცავს როგორც გარემოს უსაფრთხოების, ასევე სხვადასხვა ინდუსტრიებისთვის საჭირო აღჭურვილობას, მათ შორის ქიმიური, ბიოლოგიური, სამშენებლო, ელექტრო, სახანძრო და ა.შ. რეალურად კოლეჯის ბაზაზე სტუდენტს, როცა აღნიშნულ პროგრამას დაასრულებს, ექნება სრული წარმოდგენა სხვადასხვა ინდუსტრიისთვის არსებული საფრთხეებისა და აღჭურვილობის გამოყენების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს ჰკითხა, არის თუ არა შესაძლებელი სწავლის შედეგების სრულად მიღწევა, ამ შემთხვევაში რაც უსაფრთხოებას ეხება, სასწავლებლის C გარემოში და საკმარისია თუ არა მართო ხელსაწყოების დემონსტრირება. ექსპერტმა უპასუხა, რომ გარემოს და შრომის უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება დუალური მიდგომით არის საუკეთესო ვარიანტი, თუმცა სიმულირებით, ვიდეო გაკვეთილების ჩართვით, ადგილზე ამ აღჭურვილობის გამოყენების ათვისებით სავსებით შესაძლებელია, პროფესიულმა სტუდენტებმა გამოიმუშაონ შესაბამისი უნარები და მიიღონ ცოდნა. მან ასევე ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციაზე და მის პროფესიონალიზმზე, რომელიც მიმართულია ამ პროგრამის ფარგლებში.

შორენა ჯაფარიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს პროგრამაში გათვალისწინებულ სასწავლო ექსკურსიებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ეს ექსკურსიები რომელი მოდულის

ფარგლებშია გათვალისწინებული. ექსპერტმა უპასუხა, რომ სასწავლო ექსკურსიები გათვალისწინებულია ყველა იმ 8 მოდულის ფარგლებში, რომელთან დაკავშირებითაც ჰქონდათ დადებული ხელშეკრულებები ამ კომპანიებთან და არა გაცნობითი პრაქტიკა.

შორენა ჯაფარიძემ დაამატა, რომ ასეთი პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანია, რეალურ ობიექტზე განხორციელდეს, თუმცა ეს სასწავლო ექსკურსიები თუ კარგად იქნა ორგანიზებული, არის შესაძლებელი. მას პირადად ასეთი კომბინაცია მოსწონს: ადგილზე გაცნობა იმიტირებით და შემდეგ სასწავლო ობიექტზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სრულად იღებს პასუხისმგებლობას და ძალიან წუხს, რომ ის ფაქტი მოხდა, რაზეც იყო საუბარი. მან აღნიშნა, რომ თვითონ არ იმყოფებოდა ადგილზე და ნამდვილად არ უნდა მომხდარიყო, ტექსტიც იყო დამაბნეველი, მაგრამ გამოასწორენ. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ღონისძიებები გაატარა სასწავლებელმა, რომ შემდეგში მსგავსი ტიპის დაანონსებული ინფორმაცია არ იყოს გამოყენებული და რა გაკეთდა პრევენციის კუთხით. დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ კოლეგებთან მოახდინა რამდენიმე შეხვედრა, რომ ყველა ინფორმაცია რაც დაიდება, იყოს შეჯამებული და შეთანხმებული მასთან. ასევე დაასაქმა ერთი ადამიანი ამ კუთხით, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. ფიქრობს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ეს არ იყო შეგნებული და გამიზნული ქმედება, რომ შეცდომაში შეეყვანათ სწავლის მსურველები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა, აღინა კუპრავამ შრომის უსაფრთხოების საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით დაამატა, რომ მათმა სტუდენტებმა მოასწრეს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გავლა მათ პრაქტიკის ობიექტზე. ამის შესაბამისად, პრაქტიკის დღიურებიც შევსებულია და შესაბამისი ანგარიშებიც წარმოდგენილია. ასე რომ, ამ მიმართულებით პროგრამის ერთი ციკლი, დაწყებიდან დასრულებამდე, სრულად ჩატარებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (ს/კ: 406056173) მონიტორინგთან დაკავშირებით „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა ერთი შუამდგომლობა: სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიის აკადემია“ ითხოვდა, დაჩქარებულიყო მათი საკითხის განხილვა, რადგან შეხვედრა ჰქონდათ. დაწესებულების დირექტორმა, მამუკა ჯანჯალიამ განმარტება გააკეთა, რომ სამინისტროსთან ჰქონდათ დაგეგმილი შეხვედრა და თუ შესაძლებლობა იყო, იქნებ წინ

გადმოსულიყო მათი საკითხის განხილვა. საბჭოს თავმჯდომარე დაეკითხა კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორსაც და მისი და საბჭოს წევრების თანხმობით, მეორე საკითხად გადმოინაცვლა სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ საკითხის განხილვამ.

2.სსიპ-კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ მონიტორინგის გადავადებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 30 სექტემბერს ცენტრის დირექტორის სახელზე შემოვიდა სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ დირექტორის წერილი, რომელიც საბჭოსაც მიწოდებული აქვს. დაწესებულების „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, განხორციელების უფლება მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 17 ივლისის სხდომაზე და ჩაენიშნათ 6 ოქტომბერს მონიტორინგი და დაწესებულება ითხოვს ჩანიშნული მონიტორინგის ვიზიტის გადავადებას. საფუძველია ის, რომ ამ პროგრამის ფარგლებში შესაძენი აღჭურვილობის მოწოდება შეფერხდა და ეს შეფერხება გამოწვეული იყო COVID პანდემიასთან დაკავშირებული გარემოებიდან გამომდინარე. ასეთი შემთხვევები, როგორც წინა სხდომაზე ბრძანა საბჭოს თავმჯდომარემ, შესაძლებელია გაჩნდეს ერთეული შემთხვევები ან მასიურიც. როგორც ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, ცენტრი და სამსახური თავს უფლებას აძლევს, რომ საბჭოზე მხოლოდ ისეთი შუამდგომლობები დააყენოს, რომლებიც დაკავშირებული იქნება პანდემიით გამოწვეულ შეფერხებებთან. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ისეთი შუამდგომლობები და გადავადების ვადა შეუძლია ითხოვოს, როცა არ ირღვევა საბჭოს მიერ გაცემული ვადების მაქსიმალური ხანგრძლივობა. ანუ, თუ საბჭოს სხდომაზე მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს არა უმეტეს 6 თვისა, ასეთ შემთხვევაში გადავადება არ უნდა ცილდებოდეს 6 თვეს. ამ შემთხვევაში 3 თვე შეიძლება 6 თვემდე იქნას გადავადებული. ამ დაწესებულებას 17 ივლისის სხდომაზე ჩაენიშნა მონიტორინგი 6 ოქტომბერს. ეს ვადა იყო დაახლოებით სამი თვე და ითხოვენ 9 დეკემბრამდე გადავადებას. 6 თვიან ვადაში ეს გადავადება ჯდება. ამდენად, როგორც ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, თავს უფლებას აძლევს, ეს შუამდგომლობა დააყენოს საბჭოს წინაშე და თუ ეს შუამდგომლობა დადებითად გადაწყდება, სასურველია, გადაწყვეტილება დაფიქსირდეს საბჭოს სხდომის თარიღით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი გაჟღერდა წინა საბჭოზეც და ასევე მიღებულია წერილი სამინისტროდან. მან ცენტრს თხოვნით მიმართა, კოვიდთან დაკავშირებით ყველა შემთხვევა იყოს განხილული ერთიან ჭრილში და მიღებულ იქნას ერთიანი, სამართლიანი გადაწყვეტილებები ვადების გადაწევასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ეს ეხება მხოლოდ დადგენილ ვადებში გადაწევას, თუმცა თვითონ მაინც ფიქრობს, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, მზად უნდა იყვნენ ისეთი შემთხვევებისთვისაც, როდესაც შესაძლოა ექვსთვიანი ვადაც არ იყოს საკმარისი და ამაზეც მოუწევთ შემდგომში ფიქრი.

სხდომაზე ნანი დალაქიშვილის მიერ წაკითხული იქნა სამინისტროს წერილი (15.10.2020), რომელსაც ხელს აწერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამარ სამხარაძე და რომელიც აპელირებს, რომ კოვიდით გამოწვეული ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, ზოგიერთმა დაწესებულებამ ვერ შეძლო წინასწარ დადგენილ ვადებში მატერიალური აღჭურვილობების შეძენის უზრუნველყოფა და მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით, რომ გაითვალისწინონ აღნიშნული გარემოება და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მომართვის შემთხვევაში, მიიღონ

გადაწყვეტილება მონიტორინგის ვადის გადაწევის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ვადების გამოყენებით.

ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს იმ იდეის გაჟღერებისთვის, რომ მომავალში შეიძლება ეს ვადა არ იყოს საკმარისი, თუმცა ჯერ ეს არ იკვეთება. მისი თქმით, არის მეორე შუამდგომლობაც და ისიც ამ ვადებში ჯდება, თუმცა არ გაუსწრებს მოვლენებს და თუ რაიმე იქნა ვადებთან დაკავშირებით, ისევ დასჭირდებათ ამ საკითხის სამინისტროსთან გავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, მოესწრება თუ არა აღჭურვილობის შეძენა 9 დეკემბრამდე, რა ეტაპზეა ამჟამად შესყიდვები და როგორია მისი პროგნოზი, რაზეც მამუკა ჯანჯალიამ უპასუხა, რომ ტვირთი წამოსულია და გაჩერებულია ლონდონში, უკვე ორი თვეა რაც ელოდება, ეუბნებიან, რომ 3 ნოემბერს იქნება, მაგრამ არ იცის ზუსტად. შესაძლოა პროგრამის გადალაგება მოუწიოს.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ცენტრს, როდესაც მსგავსი ტიპის შუამდგომლობა იქნება, ყოველთვის იყოს უკვე შესწავლილი სიტუაცია და დადასტურებული ცენტრის მხრიდან, რომ ეს გადავადება ნამდვილად არის გამოწვეული კოვიდთან დაკავშირებული შეფერხებით, რათა საბჭომ გადაწყვეტილების მიღების დროს იხელმძღვანელოს იმით, რომ ნამდვილად კოვიდის გამოა შეფერხება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ მონიტორინგის ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ მონიტორინგის ვადა გადაიწიოს 2020 წლის 9 დეკემბრამდე, მონიტორინგი ჩაინიშნოს 9 დეკემბრის შემდეგ და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 ოქტომბერი.

3. სსიპ - კოლეჯი „სპექტრის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ალინა კუპრავამ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 7 მაისის № 365325

ოქმი) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის N880867 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დოკუმენტების შესწავლის გზით სსიპ - კოლეჯი "სპექტრის" მიერ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის გ.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება და ცენტრში 2020 წლის 31 მარტს N323205 და N322964 კორესპონდენციით შემოსულ დასკვნებში გაცემული რეკომენდაციებისა და ხარვეზის გამოსწორების შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი).

დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვებგვერდის შესწავლის საფუძველზე, რეკომენდაციების გათვალისწინების და 3.1სტანდარტით გათვალისწინებული ინდიკატორების შეფასების მიზნით, დამატებით გამოთხოვილი იქნა რიგი დოკუმენტაცია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომლებიც მიეწოდათ ექსპერტებს, ექსპერტებმა განახორციელეს დოკუმენტაციის შეფასება და ასახვა დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ხარვეზის გამოსწორების შემოწმების შედეგებზე.

1. ხარვეზის გამოსწორების შემოწმების შედეგი:

სსიპ - კოლეჯ სპექტრის 2020 წლის 31 მარტს N 323205 და N 322964 კორესპონდენციით შემოსულ დასკვნებში დაფიქსირებულია შემდეგი ხარვეზი: დაწესებულების მიერ დარღვეული იყო მოთხოვნები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებით. ვინაიდან არასრულწლოვანი სტუდენტს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლება არ აქვს, ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოაწეროს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა. სტუდენტის პირად საქმეში უნდა იდოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობა და სტუდენტის დაბადების მოწმობა; კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით. დაწესებულებამ ხარვეზი გამოასწორა.

2020 წლის 10 სექტემბრის MES 4 20 0000812835 და 2020 წლის 18 სექტემბრის MES 6 20 0000858314 წერილით დაწესებულებამ ხარვეზის აღმოფხვრის დადასტურების მიზნით წარმოადგინა (დანართი 12) ერთ-ერთი არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე და მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასევე დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე 2020 წლის 30 სექტემბრის MES 6 20 0000915400 (დანართი 1) წარმოადგინა დირექტორის 13.06. 2020წ. N45-ა ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება ბრძ. N56-ა; 24.08.2020წ.) „სსიპ - კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ“, სადაც გაწერილია სრულწლოვანის, არასრულწლოვანის და ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუუნარიანი აპლიკანტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.

2. რეკომენდაციების გამოსწორების შემოწმების შედეგები:

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. აღნიშნული რეკომენდაცია გამომდინარეობა ხარვეზიდან, რომ მარეგულირებელი წესის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულიყო სრულწლოვანი და არასრულწლოვანი აპლიკანტების მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ხარვეზის გამოსწორებლად 2020 წლის 30 სექტემბრის MES 6 20 0000915400 წარმოდგენილი კორესპონდენცია, დირექტორის 13.06. 2020წლის N45-ა ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება

ბრძ.N56-ა; 24.08.2020წ.) „სსიპ - კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ დოკუმენტის საფუძველზე რეკომენდაცია გათვალისწინებულად ჩაითვალა;

2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბაზებთან განაახლოს ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებებთან - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 10 სექტემბრის MES 4 20 0000812835 და 2020 წლის 18 სექტემბრის MES 6 20 0000858314 კორესპონდენციებით დგინდება, რომ დაიწყო მემორანდუმებში საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების შესაბამისობაში მოყვანა;

3. რეკომენდებულია, მოდულების ადაპტირებისას გაითვალისწინოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე 2020 წლის 30 სექტემბრის MES 6 20 0000915400 კორესპონდენციით წარმოდგენილი პროგრამების და ვებ გვერდზე განთავსებული პროგრამების შესწავლით დგინდება, რომ გათვალისწინებულია, გაიწერა მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები;

4. რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებული „სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“-პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე - „ვებტექნოლოგიები“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ არ იყოს ზოგადი და დაწესებულებას ჰქონდეს აღწერილი კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი მატერიალური და ადამიანური რესურსები, რითაც რეალურად განსაზღვრავდნენ წარმოდგენილ პროგრამებზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა რაოდენობას, დაწესებულების მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტის (ორი ჯგუფის) დამატების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დამატებით მინიმუმ ერთი დარგობრივი პროფესიული მასწავლებლის აყვანა, „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს დამატებით ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც განახორციელებს პროფესიული მოდულების სწავლებას - აღნიშნულმა რეკომენდაციებმა გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტის შემცირება, შესაბამისად აქტუალური გახდება იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება გადაწყვეტს საგანმანათლებლო პროგრამებზე კვოტის გაზრდას;

5. რეკომენდებულია, დაწესებულებაში კვლევები ჩატარდეს არა მხოლოდ შეფასების მიმართულებით, არამედ მოხდეს ასევე პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები - რეკომენდაცია არაა გათვალისწინებული, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი კვლევების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა კორესპონდენციაში განმარტავს, რომ ხსენებულ საკითხზე აქტიურად მუშაობს კოლეჯი წლის მანძილზე;

6. რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიძინოს კომპუტატორები (მინიმუმ Cisco Catalyst 2960) და მარშრუტიზატორები (მინიმუმ Cisco 1921) - რეკომენდაცია არაა გათვალისწინებული. დაწესებულებამ 2020 წლის 10 სექტემბრის MES 4 20 0000812835 და 2020 წლის 18 სექტემბრის MES 6 20 0000858314 კორესპონდენციებით წარმოადგინა ინვოისები რომელთა საფუძველზეც გეგმავს კომპუტატორის და მარშრუტიზატორის შეძენას, თუმცა ინვოისი არაა შეძენის გარანტორი;

7. რეკომენდებულია, N3 შენობაში (C გარემო) ჩატარდეს გასუფთავების სამუშაოები. დაცული იქნეს ჰიგიენური პირობები, მოწესრიგდეს სივრცის განათების, განიავების საკითხი და შენობამდე მისასვლელი პანდუსი - რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ; აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ 2020 წლის 10 სექტემბრის MES 4 20 0000812835 და 2020 წლის 18 სექტემბრის MES 6 20 0000858314 კორესპონდენციებით

წარმოადგინა ფოტომასალა, საიდანაც ჩანს, რომ N3 შენობაში (C გარემო) ჩატარებულია გასუთავების სამუშაოები, არაა წარმოდგენილი N3 შენობამდე მისასვლელი პანდუსის სურათი. რაც შეეხება სივრცეში განათების და განიავების შესაძლებლობას, დისტანციურად შეუძლებელია ამის განისაზღვრა;

8. რეკომენდებულია, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროგრამის ფარგლებში იქნეს შეძენილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - სათვალე, რესპირატორი, ხელთათმანი, ჩაფხუტი, სპეცტანსაცმელი, საყურისები/ყურსაცმები. რეკომენდაცია გათვალისწინებულია, წარმოდგენილია შესყიდვის დოკუმენტები;

9. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტები (ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი) შესაბამისობაში მოიყვანოს დაწესებულების სახელწოდებასთან; დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულების სახელწოდებასთან და ახალ სტანდარტებთან - რეკომენდაციები არაა გათვალისწინებული, დაწესებულებამ შეიცვალა სახელი და ეწოდება სსიპ-კოლეჯი „სპექტრი“, დოკუმენტების ნაწილი დარჩენილია ძველი სახელწოდებით და შესაბამისად რეკომენდაცია გაიცა სახელწოდების შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

10. რეკომენდირებულია, დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებული იყოს დაწესებულების ვებგვერდზე - რეკომენდაცია გათვალისწინებულია, დოკუმენტი განთავსებულია ვებგვერდზე;

11. რეკომენდებულია, დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს - რეკომენდაცია გათვალისწინებულია, დოკუმენტი განთავსებულია ვებგვერდზე;

12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და წინა რეკომენდაციის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოაყალიბოს განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური) - რეკომენდაცია გათვალისწინებულია, დოკუმენტი განთავსებულია ვებგვერდზე;

13. რეკომენდებულია, დაწესებულებას ჰქონდეს პერსონალის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების მიზნით - რეკომენდაცია გათვალისწინებულია, აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ 2020 წლის 10 სექტემბრის MES 4 20 0000812835 და 2020 წლის 18 სექტემბრის MES 6 20 0000858314 კორესპონდენციები წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს N60-ა ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-კოლეჯში „სპექტრი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“ და 2020 წლის 1 სექტემბერს კოლეჯის პერსონალის (ადმინისტრაცია და პროფესიული მასწავლებლების) მიერ დოკუმენტის გაცნობისა და პერსონალურ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული თანხმობის ხელმოწერილი დოკუმენტი.

ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა ავტორიზაციის მესამე სტანდარტზე. მისი თქმით, აქ არის სრული შესაბამისობა, თუმცა მიეცათ ორი განმავითარებელი რეკომენდაცია:

3.1.2. დაწესებულებამ, იმის დასადასტურებლად, რომ მისი პროფესიული სტუდენტები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს, მტკიცებულებად წარმოადგინა საკუთრივ სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში სტუდენტის და მისი კანონიერი წარმომადგენელის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერით პროფესიული სტუდენტი აცხადებს თანხმობას, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე გააცნო დაწესებულებამ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, მართალია ამავე ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ

სხვადასხვა მარეგულირებელ წესებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ინფორმაციები განახლდება ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, თუმცა ექსპერტთა მხრიდან გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე განახლებული დოკუმენტების განთავსებასთან ერთად, გონივრულ ვადაში გამართოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები სტუდენტებთან ცვლილებების გაცნობის მიზნით ან აღნიშნული ცვლილებები გაუგზავნოს ყველა სტუდენტს ელექტრონული ფოსტით;

3.1.3 დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმებს (მუხლი 7. სტუდენტის და მასწავლებლის პრეტენზიების განხილვა, საპრეტენზიო კომისია), აღნიშნული მექანიზმი მოიცავს პროცესის ეტაპს, როგორცაა: შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს /მასწავლებელს აპელაციის უფლება, რა ფორმით აკეთებს ამას და ვის მიმართავს კონკრეტულად, შემდეგ რა ნაბიჯებს დგამს დაწესებულება, რამდენ ხანში ინიშნება აპელაციის განხილვა, ვინ შედის სააპელაციო კომისიაში რა უფლება-მოვალეობები აქვს სააპელაციო კომისიას, თუმცა ზემოაღნიშნულ წესში არ არის ასახული თუ ბოლოს რა ფორმით მიდის დაინტერესებულ პირამდე მიღებული გადაწყვეტილება. რეკომენდაცია: სასურველია აღნიშნულ მექანიზმში გაიწეროს ბოლოს რა ფორმით მიდის დაინტერესებულ პირამდე მიღებული გადაწყვეტილება. შემდეგ ექსპერტმა წარმოადგინა ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა, ნაზო წაბლიაშვილმა დაამატა, რომ წინა ვიზიტის დროს, დარგის მიერ იყო გაცემული აღნიშნული რეკომენდაციები. ისინი ეხებოდა უშუალოდ პროგრამას „იატაკისა და ფილის სამუშაოები“. C გარემო დაწესებულებას ჰქონდა მოწყობილი მეორე სართულზე, სადაც არ იყო ადაპტირების საშუალება და შემდგომ ვიზიტის დროსვე გამოსწორდა, ფართი გამოიყო ცალკე მდგომ შენობაში, სადაც გადაწყვიტეს, რომ ადგილზე განხორციელდებოდა პრაქტიკული კომპონენტი. ფართი საკმაოდ მისაღები აღმოჩნდა, თუმცა იყო მოუწესრიგებელი და ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო დაწესებულებამ აღნიშნული ფართის მოწესრიგება. ფოტოებიდან აშკარად ჩანს, რომ მოწესრიგებულია, დასუფთავებულია, შეღებილია, განათება მეტ-ნაკლებად ჩანს, მაგრამ ვერ შეფასდება განიავება და განათება ამ ფოტოებიდან. სასურველი იყო შენობამდე მისასვლელი ფოტოც ყოფილიყო. დანარჩენს დაწესებულების წარმომადგენელი გვეტყვის, რა ჩატარდა და თუ აქვთ დამატებითი ფოტომასალა. სასურველი იქნებოდა, რომ წარმოედგინათ.

დაწესებულების დირექტორმა, მათე ტაკიძემ ისაუბრა რამდენიმე თემაზე, რომელიც რეკომენდაციების ნაწილს ეხებოდა. მისი თქმით, რაც შეეხება სტუდენტთა კვლევებს, ხარისხის მართვის და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერები მუშაობენ ამ პროცესის დაძლევაზე და ეს რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება პანდუსებსა და შენობას, მიმდინარეობს ფართო მასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები, განათების სისტემა უკვე შეყვანილია. დაიწყეს ერთ-ერთ კომპანიასთან ერთად საწარმოო პრაქტიკის ლაბორატორიის შექმნა, აკეთებენ შშმ პირებზე ადაპტირებულ და თანამედროვე სტანდარტის შესაბამისს, ასევე აკეთებენ ცენტრალური კანალიზაციის მიერთებას, საკუთარი სახსრებით შეძენილია ყველა ის მასალა, რაც საჭიროა ამისთვის. სველი წერტილი იქნება ადაპტირებული გარემო შშმ პირებისთვის. განათების სისტემა სრულად არის დამონტაჟებული, ყველაფერი გაკეთდა რომ სტუდენტს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო, როგორც ხანძარსაწინააღმდეგო, ასევე განიავებისა და სხვა უსაფრთხოების სისტემების დაცვით. რაც შეეხება გვერდით შენობასთან მისასვლელს, ესეც გაკეთებულია და სტუდენტებს შეუძლიათ უსაფრთხოდ მივიდნენ. მაგრამ, ეს პროცესები არის მიმდინარე, პანდემიას რომ არ შეეშალა ხელი, მათ უკვე დასრულებული იქნებოდათ 15 სექტემბრისთვის ეს სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „სპექტრის“ მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „სპექტრის“ (ს/კ: 208183605) მონიტორინგთან დაკავშირებით.

16:25 საათზე სხდომა დატოვა მარიამ ქუჩულორიამ.

4. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

პრეზენტაცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნათია ქაჯაიამ. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში 2020 წლის 14 და 15 სექტემბერს (ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. N30) განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ე.ა" და "ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან; შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები (მათ შორის ბიბლიოთეკა); მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადამოწმება სასწავლო პროცესის ორგანიზების შესაფასებლად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის, დაწესებულების მატერიალური რესურსების შემოწმება, ინფრასტრუქტურის დათვალიერება და მასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება, საინფორმაციო რესურსების დათვალიერება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივმა კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიპოვა და ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის 17 იანვარს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N7 გადაწყვეტილების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 120-ით, თუმცა

დაწესებულება დღემდე არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და არცერთი სტუდენტი არ ყოფილა ჩარიცხული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე დაწესებულებამ საქმიანობის ადგილი ორჯერ შეიცვალა.

ექსპერტების მიერ ხარვეზი არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, მათ გასცეს განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. ვინაიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების დიდ უმრავლესობასთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები (გარდა 2 მასწავლებლისა), ხოლო დაწესებულების მარეგულირებელი აქტი, „პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის წესი“ ითვალისწინებს, რომ მასწავლებლები ინიშნებიან დირექტორის ბრძანებით და მათთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს კოლეჯის მარეგულირებელ აქტში გაწერილი წესის მიხედვით და ყველასთან ერთნაირი წესით;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეში განთავსდეს მათ მიერ CV-ში მითითებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
3. დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაადგინოს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. მოდულებში გაწერილი სასწავლო რესურსის - საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების კონსოლიდირებულ რედაქციებზე პროფესიული სტუდენტების წვდომის უზრუნველსაყოფად, გაფორმდეს ხელშეკრულება სსიპ - საკანონმდებლო მაცნესთან;
5. დაწესებულებამ შეიმუშაოს ბიუჯეტირების პროცედურების მექანიზმი, რაც დაკავშირებული იქნება საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების პროცედურების დარეგულირებასთან, კერძოდ, განისაზღვროს ბიუჯეტის შედგენის ვადები, ბიუჯეტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელს არ ჰქონდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი, არ იყო ვიზიტის დროს და არ წარმოადგენდა დარგს, რაც ფიქრობს, რომ პრობლემაა. მათ შესაბამისობის გეგმაში ჰქონდათ ჩაწერილი, რომ უნდა შეერჩიათ შესაბამისი დარგის ხელმძღვანელი იანვრამდე, ამიტომ სტანდარტის დარღვევად არ ჩათვალეს. ვიზიტის პერიოდში უკვე გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია პროგრამის მენეჯერზე და ხარვეზზე არ გავიდა, რადგან თვითონ აპირებდნენ შეცვლას და მეტწილი შესაბამისობით განისაზღვრა კრიტერიუმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ ჰქონდა პროფესიული გამოცდილება, ამ დარგში არ იყო ნამუშევარი. გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი, შეირჩა კადრი, რომელიც მათთან მუშაობს, მოქმედი ბულალტერია, დიდი გამოცდილებით. დანარჩენი, რაც შეეხება რეკომენდაციებს, მათ იმუშავეს, გაასწორეს და ცენტრშიც გამოგზავნეს.

ნინო კაკულიას კითხვა ჰქონდა ექსპერტთან. იგი დაინტერესდა, რატომ არაფერი თქვა ექსპერტმა შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ, არადა დასკვნაში წერია, რომ შენობა არის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან შეუსაბამო, მით უმეტეს, როდესაც ფართს იცვლის დაწესებულება.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ორჯერ ჰქონდა მიწერილი შესაბამისი სამსახურისთვის, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, 2020 წლის 28 ივლისს და

2020 წლის 2 სექტემბერს. დასტურდებოდა, რომ განხორციელდა აღნიშნული სამსახურის მიერ დაწესებულების ტექნიკური შემოწმება. შედგა ტექნიკური აქტები შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ და შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტებს ევალუატი მხოლოდ აღნიშნულ საკითხზე მდგომარეობის აღწერა და ცვლილებების განხორციელების შემდეგ დეტალურად აღარ იკვლევენ ხანძარსაწინააღმდეგო შესაბამისობას, შენობის და უსაფრთხოების, დოკუმენტაციის მიხედვით მოხდა ფაქტობრივი ვითარების აღწერა. მისი თქმით, მართალია, იყო შეუსაბამობა გარკვეულ კომპონენტებში, თუმცა ვერ შეიჭრებოდნენ ადმინისტრაციული საჯარო ორგანოს კომპეტენციებში.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს განუმარტა, რომ მათ აინტერესებდათ, რამდენად არის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში ის, რომ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ შეუსაბამოა ხანძარსაწინააღმდეგო წესებთან. თან ექსპერტთა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან იყო მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ასეთი შეფასება გააკეთეს იმიტომ, რომ აღნიშნული საკითხი შესაბამისობის გეგმაში ჰქონდა შეტანილი დაწესებულებას და დაწესებულება აღნიშნულ ვადებში შეასრულებდა მოთხოვნას.

ნანა ყუფუნია აღნიშნა, რომ ცოტა უცნაურია მეტწილი შესაბამისობის დაფიქსირება, როდესაც ფართის ცვლილებას ეხება საკითხი, სადაც შენობა შეუსაბამოა ხანძარსაწინააღმდეგო წესთან. მისი აზრით, საკითხის შესაბამისობის გეგმაში შეტანის მიუხედავად, ეს არის სერიოზულად დასაფიქრებელი თემა, რადგან ხანძარსაწინააღმდეგო დასკვნა არის უარყოფითი და ამ დროს ვსაუბრობთ, რომ მეტწილ შესაბამისობაშია, თან ფართის ცვლილებას შეეხება.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ არ არის დოკუმენტი, სადაც გაწერილია სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი სამსახურის მიერ იმ ხარვეზების გამოსწორების დეტალური გეგმა, რომელიც დააფიქსირა ამ სამსახურმა. მისი თქმით, ექსპერტების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა შემოიფარგლება შემდეგით: დაწესებულებას აუცილებლად უნდა ჰყავდეს მოწვეული შესაბამისი სამსახური, უნდა იყოს შეფასებული არსებული მდგომარეობა და შემდეგ ამ მდგომარეობის გამოსწორების ძალიან დეტალური გეგმა გაწერილი შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე სამსახურის მიერ და მითითებულ ვადებში უნდა იყოს რაღაც ეტაპები შესრულებული. ამ ეტაპების შესრულება შეიძლება დააფიქსირონ ექსპერტებმა. ნანი დალაქიშვილმა დამატებითი განმარტებებისთვის სიტყვა გადასცა ნინო სტეფანიშვილს, რომელიც იმყოფებოდა ამ ვიზიტის დროს.

ნინო სტეფანიშვილმა განაცხადა, რომ ეს არ იყო მონიტორინგი, ეს იყო ფართის ცვლილება. შემოწმდა მეხუთე და მეორე სტანდარტის კომპონენტები, რომელიც უკავშირდებოდა ფართის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც შეეხება კონკრეტულად ამ კომპონენტს, ექსპერტები აღარ ამოწმებენ ცეცხლმაქრებს და ა.შ. და ცალსახად წერია სტანდარტში, რა უნდა მოვითხოვოთ. მტკიცებულებებში წერია: დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებული მიმოწერა სახანძრო უსაფრთხოების დარღვევაზე. დაწესებულებას მსგავსი შემოწმება სექტემბრის თვეში ჰქონდა გაკეთებული. სხვა დაწესებულებების შემთხვევაშიც, როცა აკეთებენ მსგავს შემოწმებებს, პრაქტიკა ასეთია: მოსდით რეკომენდაციები, სადაც არის ვადები და აღნიშნულია, რა უნდა გამოსწორდეს და როგორ. ნინო სტეფანიშვილის თქმით, როგორც მან იცის, კოლეჯს მსგავსი რეკომენდაციები ვიზიტის პერიოდში ჯერ არ ჰქონდა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკრეტულ კითხვაზე აინტერესებთ პასუხი ამ შემთხვევაში: როგორ შეიძლება ფართი, რომელიც შესაბამისი სამსახურის მიერ შეფასებულია, როგორც არასათანადოდ მოწყობილი და კვალიფიციური ორგანოს დასკვნა უარყოფითია, შეფასდეს როგორც მეტწილად შესაბამისი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნა შეუსაბამოა, რადგან ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა ყველა აუდიტორიაში სრულადაა დამონტაჟებული. ერთადერთი, ისინი მიიჩნევენ, რომ მათ კიდევ უნდა ჰქონდეთ საკუთარი საევაკუაციო კიბე, რომელიც მთლიან შენობას აქვს და არ აქვს ამ გამოყოფილ ფართს. დანარჩენი ყველაფერი წესრიგშია.

მარიამ ჩაგელიშვილმა დაწესებულებას მიმართა, რომ როცა კვალიფიციურმა ორგანომ ჩათვალა, რომ დაწესებულებას საკუთარი კიბე უნდა ჰქონდეს, უნდა დაემორჩილოს და საბჭოც ვერ წავა მათ წინააღმდეგ.

შორენა ჯაფარიძის თქმით, ეს კომპონენტი მარტო სახანძრო უსაფრთხოებას არ მოიცავს და აქ არის რამდენიმე კრიტერიუმი, მათ შორის პირველადი სამედიცინო დახმარების კომპონენტი. მან აღნიშნა, რომ დაწვრილებით წაიკითხა დასკვნა და ეს კომპონენტი არის დაკმაყოფილებული. მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი არ იყო შესაბამისი და ამიტომ ექსპერტებმა ჩათვალეს მეტწილ შესაბამისობად. მისი აზრით, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ექსპერტებმა კარგად უნდა განმარტონ, რატომ ჩათვალეს მეტწილ შესაბამისობად.

ნანი დალაქიშვილი ჩაერთო და აღნიშნა, რომ ექსპერტებს მითითებული აქვთ დასკვნაში, რომ განხორციელდა დაწესებულების ტექნიკური შემოწმება და შედგა N60 და N61 ტექნიკური აქტები ამ შეუსაბამობის შესახებ, მაგრამ დასკვნის თანდართულ დოკუმენტაციაში ამ აქტებს ვერ ხედავს, ანუ თვითონ უნდა განმარტონ ექსპერტებმა, ნახეს თუ არა ეს აქტები და რა ეწერა, რა ფორმულირება იყო.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, მათ გამოაგზავნეს ცენტრში შესაბამისობაში მოყვანის გრძელვადიანი გეგმა. ეს ცენტრში ნამდვილად არ შემოსულა, თუმცა გადახედა თვითშეფასების დანართებს, რომელიც ამ საქმესთან კავშირში არ არის და იქ მართლაც აღმოაჩინა შესაბამისობაში მოყვანის განრიგი, რომელიც დაახლოებით ერთწლიან ვადაშია გაწერილი და არის ჩამოწერილი პუნქტები, რომელი პუნქტი რა ვადაში უნდა მოიყვანონ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, დაწესებულების მიერ თვითშეფასებაში წარმოდგენილ დოკუმენტებს საბჭო ვერ განიხილავს, უმჯობესი იქნებოდა, საკითხი დამატებით ყოფილიყო შესწავლილი, რადგან ბევრი კითხვა დაგროვდა საბჭოს მხრიდან.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

საბჭომ იმსჯელა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, იხელმძღვანელოს ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის, მე-10 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, განაცხადოს შუამდგომლობა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევებთან დაკავშირებით და შუამდგომლობით მიმართოს ცენტრს, აღნიშნული საკითხი

დამატებით იქნას შესწავლილი და საბჭოს მომდევნო სხდომაზე, გონივრულ ვადაში, წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა. საბჭო შუამდგომლობს ცენტრის წინაშე კოლეჯიდან და შესაბამისი კომპეტენციის ორგანოდან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვით შესწავლილ იქნას საკითხი დეტალურად და მიეწოდოს საბჭოს განსახილველად.

17:55 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, გიორგი ტრაპაიძემ.

5. სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ მონიტორინგის გადავადებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ მონიტორინგის გადავადებას. კოლეჯიდან 2020 წლის 9 და 12 ოქტომბერს ცენტრში შემოვიდა N 968629 და N 978051 წერილები, რითიც დაწესებულება მიმართავს ცენტრის დირექტორს და ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 25 ოქტომბერს დანიშნული მონიტორინგის გადავადებასთან დაკავშირებით. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს საგანმანათლებლო პროგრამებზე: (სატყეო საქმე, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია და სამკერვალო წარმოება), რომლებზეც ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2.2. კომპონენტის ფარგლებში ჩანიშნულია მონიტორინგი 2020 წლის 25 ოქტომბერს, გადაიდოს 2020 წლის 20 დეკემბერს, რაზეც დაწესებულება დაეთანხმა.

დაწესებულება ხედავს რისკს, რომ ამ ვადაში არ იქნება აღჭურვილობა, ისევე კოვიდზე აკეთებს აპელირებას, წერს, რომ ერთ-ერთი აღჭურვილობა უნდა შეძენილიყო გაეროს პროგრამის ფარგლებში და ურთავს გაეროს განვითარების პროგრამის წერილს, სადაც ასევე დაფიქსირებულია, რომ კოვიდის გამო დეკემბრამდე ფერხდება მოწოდება. კოლეჯმა ითხოვა, აღნიშნული ოთხივე პროგრამის მონიტორინგი გადატანილ იქნას 20 დეკემბრამდე. ერთი პროგრამის აღჭურვილობის შეძენის ბოლო ვადა, რომელიც გაეროს ფარგლებში უნდა მოწესრიგებულიყო, დეკემბერია და დანარჩენი პროგრამებიც, თვითონ რომ უნდა განეხორციელებინა, შეუფერხდა კოვიდის გამო და ამდენად, შუამდგომლობა ითხოვა საბჭოს წინაშე, რომ მონიტორინგის ვადა გადაიწიოს 20 დეკემბრამდე. ნანი დალაქიშვილის თქმით, აქაც 6 თვის ვადაში ჯდება ეს ყველაფერი.

კოლეჯის დირექტორმა, ირმა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ როგორც ქალბატონმა ნანიმ განაცხადა, შეფერხებები ჰქონდათ კოვიდის გამო, ყველაფერი დაიწყეს, როგორც წესი და რიგია, მაგრამ ვერანაირად ვერ ჯდება ან აღნიშნულ ვადებში და იქნებ გაითვალისწინოს საბჭომ თხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იყო შესასყიდი, რამდენადაც ახსოვდა, მცირე აღჭურვილობა იყო შესაძენი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მცირე იყო საოფისე საქმეზე, მაგრამ სამკერვალო საქმეზე ტენდერი ჩატარდა. ორჯერ მოუწიათ გამოცხადება. პირველად ჩავარდა და მეორედ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და შესაბამისი სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ ვერ ესწრება მაინც ამ დროისთვის, იმიტომ, რომ რაღაც ნაწილს ელოდება მომწოდებელი - სამკერვალოს დანადგარს.

ნანი დალაქიშვილმა გაეროს განვითარების პროგრამის წერილი წაიკითხა, სადაც იწერებინა, რომ ხორციელდება მათი მხრიდან რამდენიმე კოლეჯის მხარდაჭერა ახალი სპეციალობების მოწყობილობებისა და ინვენტარისთვის, მაგრამ ნაწილი, რაც ექვემდებარება საერთაშორისო ტრანსპორტირებას, კოვიდის გამო, შესაძლოა განხორციელდეს 2020 წლის დეკემბრის თვეში. წერილს იწერება გაეროს განვითარების პროგრამის დირექტორი, კონსტანტინე კობახიძე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კონკრეტულად რომელ პროგრამას ეხებოდა ეს წერილი, რაზეც ნანი დალაქიშვილმა უპასუხა, რომ ეხებოდა „სატყეო საქმეს“. შემდეგ მან მეორე წერილი წაიკითხა, რაც დაწესებულებამ მოიწერა, როცა დასაბუთება იქნა მოთხოვნილი. დირექტორი იწერებოდა, რომ აღნიშნული ოთხივე პროგრამისთვის მატერიალური რესურსის შეძენა მიმდინარეობს, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პანდემიამ შესყიდვები შეაფერხა და შესაბამისად, მოცემულ ვადებში ვერ მოესწრება და ითხოვდა მონიტორინგის გადავადებას ა/წ 20 დეკემბრამდე. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დირექტორის არგუმენტები სავსებით მისაღებია ცენტრისთვის.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭომ იმსჯელა სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ მონიტორინგის გადავადებასთან დაკავშირებით და გადაწყვეტილება მიიღო, გადაიწიოს მონიტორინგის ვადა 20 დეკემბრამდე.

ნანა ყუფუნია ცენტრს თხოვნით მიმართა, მსგავს საკითხებთან დაკავშირებით მეტი არგუმენტაცია მოიძიონ, რადგან ხედავს რისკს, ამიტომ სიღრმისეულად უნდა იქნას შესწავლილი ვადების გადაწევის საკითხი და აქედანვე უნდა იფიქრონ, რა გაიდლაინები იყოს მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომ უფრო მკაფიო იყოს არგუმენტი, რომ შეფერხება ნამდვილად კოვიდით არის გამოწვეული. მეტი არგუმენტია საჭირო თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებით. ამჯერად საბჭო იზიარებს ცენტრის შუამდგომლობას გადავადებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ მონიტორინგის ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდის“ ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სატყეო საქმე, კონდიტერი, კულინარიის ხელოვნება და სამკერვალო საქმე) მონიტორინგის ვადა 2.2 კომპონენტში გადაიწიოს 2020 წლის 20 დეკემბრამდე, მონიტორინგი ჩაინიშნოს 20 დეკემბრის შემდეგ და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 ოქტომბერი.


ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობა ითხოვა ცენტრის სახელით და აღნიშნა, რომ ეს არ არის რომელიმე დაწესებულებასთან დაკავშირებული. ის საკითხს გააჟღერებს და შემდეგ საბჭოს გადასაწყვეტია, ამ შუამდგომლობას გაითვალისწინებს თუ არა. მისი თქმით, მიმდინარე წლის 23 აპრილის საბჭოს სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი. დაწესებულებას მიენიჭა ეს უფლება, მაგრამ ეს იყო ძველი სტანდარტების ფარგლებში შესწავლილი წარმოება და საბჭომ ჩათვალა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ დაწესებულებაში სრული მონიტორინგის ჩატარება იქნებოდა მიზანშეწონილი და ოქმში წერია, რომ ეს ვადა შეიძლება იყოს საბჭოს სხდომიდან 6 თვის შემდეგ (2020 წლის 29 ოქტომბერი). გამომდინარე იქიდან, რომ ეს გეგმიურ მონიტორინგად ითვლება, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს თხოვნით მიმართა, უფლება მისცეს, რომ ამ დაწესებულების მონიტორინგი მომავალი წლის მონიტორინგის გეგმაში შეიტანონ. ზუსტ

ვდას განსაზღვრავს ცენტრი გეგმის მიხედვით, რადგან ამ ეტაპზე, კოვიდ ეპიდემიიდან გამოწვეული გარემოებების გამო, სრული მონიტორინგი ნაკლებად შესაძლებელია. მისი თქმით, სასურველია, განხორციელდეს ვიზიტი და კარგად იქნას შესწავლილი საკითხი და შემდეგ სრულად წარადგენენ საბჭოზე საკითხს.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს შუამდგომლობა და აღნიშნეს, რომ ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 18:05 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

